ხელშეკრულება № 39

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ბათუმი 10 ივნისი, 2011 წ.

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და “სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების (II-თავი, 10 მუხლის 3 პუნქტის “ა“ ქვეპუნქტი) შესაბამისად ერთის მხრივ ბათუმის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის დირექტორი მამუკა თამაზაშვილი, შემდგომში „დამკვეთი“ და მეორეს მხრივ შ.პ.ს „ნინო მობილია“, დირექტორი თუგრულ ბოსტან, შემდგომში “შემსრულებელი“, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შემსრულებელი თანახმაა ბათუმის ხელოვნების და კულტურის ცენტრს შეუძინოს რბილი ავეჯის კომპლექტი. ხოლო დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას მომწოდებელს აუნაზღაუროს სახელშეკრულებო თანხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების შესაბამისად.

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 1 900 (ერთიათასცხრაასი) ლარს.

1.3. აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია ფორმა № 3-ით, რომელიც შეადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. სამუშაოს მიღება-ჩვბარება

2.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. საქონლის გადაცემა ხდება შემსყიდველის ადგილსამყოფელის მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

2.2. საქონელი საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს შემსრულებელი.

3.3. შესრულებული შეკვეთის ჩაბარების ბოლო ვადა 2011 წლის 30 ივნისი.

3. გარანტია

3.1. შემსრულებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დამკვეთს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები შესრულებული სამუშაოს ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოთხოვოს შემსრულებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება, ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით შემსრულებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება შემსრულებელთან ხორციელდება 100%-იანი წინასწარი გადახდით საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

5.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა, ან დამკვეთისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. უფლებათა გადაცემა

6.1. შემსრულებელმა დამკვეთის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არც მთლიანად, არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობით შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება და მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

8. ხელშეკრულებების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1. დამკვეთს შეუძლია მთლიანად და ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, შემსრულებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ.

ა) თუ შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან დამკვეთის მიერ გაგრძელების ვადებში არ შეუძლია შეასრულოს მთელი სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) თუ შემსრულებელს არ შეუძლია არ შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაიმე ვალდებულება.

8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს შემსრულებელს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.

8.3. დამკვეთს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე;

ა) თუ დამკვეთისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) შემსრულებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ შემსრულებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

8.4. ამ მუხლის მე-3 პუნკტში მითითებულ შემთხვევებში დამკვეთი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსრულებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. დამკვეთს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი. დამკვეთმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს შემსრულებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლის შესახებ.

9.2. შემსრულებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9.3. ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს შემსრულებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

10.3. ფოს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით.

პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძებლობისდამიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. დამკვეთმა და შემსრულებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 დღის განმავლობაში დამკვეთი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკოთხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესისდამიხედვით მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

12. გამოყენებული სამართალი.

12.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, სრულდება ქართულ ენაზე.

14. შეტყობინება

14.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხრივ, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით,ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარეის მისამართზე.

14.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენის დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 30 ივნისამდე.

16. გადასახადები და ბაჟები

16.1. შემსრულებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

16.2. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, მათ შორის ორი ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

"შემსრულებელი":
ქ. ბათუმი

შ.პ.ს „ნინო მობილია"
საიდენტიფიკაციო კოდი 445390407
სს„თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი TBCBGE22
ანგ №GE59TB7482536020100001
მის. ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. 57

დირექტორი თ. ბოსტან

"შემსყიდველი":
ქ. ბათუმი, გორგილაძის ქ. №11

ბათუმის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი
საიდენტიფიკაციო კოდი 245612109
"პროკრედიტბანკი"-ს ბათუმის ფილიალი
ბანკის კოდი MIBGGE22
ანგ.№360801010300233

დირექტორი შ. თამაზაშვილი

ინფორმაცია ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ

ფორმა №3

(ივსება მომწოდებლის მიერ)

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ჯამი	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა
1	რბილი ავეჯის კომპლექტი			1 900.00		
	ჯამი			1 900.00		

ხელწერა

ბეჭდის ადგილი